

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედები: დეპრესია, შფოთვა და  
ცხოვრებით კმაყოფილება

ჰურიე აბაშიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინა გეგელაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის - “აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედები: დეპრესია, შფოთვა და ცხოვრებით კმაყოფილება“ ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს მიერ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჰურიე აბაშიძე

26.06.2019

# აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედები: დეპრესია შფოთვა და ცხოვრებით კმაყოფილება

## აბსტრაქტი

აუტისტური სპექტრი ზოგადი პოპულაციის 1.7%-ია, ასას მქონე ბავშვების დედებს შეასაძლოა ჰქონდეთ დეპრესიისა და შფოთვისა მაღალი მაჩვენებელი, ხოლო ცხოვრებით კმაყოფილების დაბალი მაჩვენებელი ტიპური განვითარების ბავშვების დედებთან შედარებით. დედების ცხოვრების ხარისხი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვების ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე.

ჩვენი კვლევა მიზნად ისახავდა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედების, დეპრესიის, შფოთვის და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის კავშირის დადგენას, ასევე დეპრესიის, შფოთვის და ცხოვრებით კმაყოფილების შედარება ტიპური განვითარების ბავშვების დედების დეპრესიას შფოთვასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 60-მა რესპოდენტმა. 30 მონაწილე აუტისტური სპექტრის მონე ბავშვების დედები, ხოლო 30 მონაწილე ტიპური განვითარების ბავშვების დედები. კვლევა ჩატარდა იალიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აუტიზმის ცენტრში, თბილისსა და ბათუმში. დემოგრაფიული ფორმის სახით მონაწილეებს ვკითხეთ ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, სამსახურის მდგომარეობა და შვილების რაოდენობა.

კვლევაში გამოყენებული იქნა 4 კითხვარი. ბეკის დეპრესიის კითხვარი ( Beck's Depression Inventory. BDI ), რომელიც აარონ ბეკის მიერ იქნა შემუშავებული 1961 წელს და ადაპტირებული ქართულ პოპულაციაზე 2016 წელს ნინო ჯავახიშვილისა და სხვების მიერ. სპილბერგერის შფოთვის საზომი კითხვარის ( Test Anxiety Inventory. TAI) ორი სუბსკალა (პიროვნული და სოციალური), რომელიც შემუშავებული იქნა სპილბერგერის მიერ 1983 წელს და ადაპტირებული ქართულ პოპულაციაზე 2016 წელს ნინო ჯავახიშვილის და სხვების მიერ. ცხოვრებით მყოფილების კითხვარი (Satisfaction with life scale) დინერის და

სხვების მიერ იქნა შემოუშავებული 1985 წელს და ადაპტირებული ქართულ პოპულაციაზე 2016 წელს ნინო ჯავახიშვილისა და სხვების მიერ. შედეგების დამუშავებასა და ანალიზის დროს გამოყენებული იქნა სტატისტიური პროგრამა SPSS 21.

ჩვენი პირველი და მეორე ჰიპოთეზის თანახმად დეპრესიას, შფოთვისა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის არის უარყოფითი კავშირი. ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ დეპრესიასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის არის უარყოფითი კორელაციური კავშირი. ძლიერი უარყოფითი კორელაციური კავშირი გამოვლინდა როგორც ზოგადად შფოთვისა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის, ასევე შფოთვის სუბსკალებსა (პიროვნული, სოციალური) და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის.

მესამე ჰიპოთეზის თანახმად უტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედებს აქვთ ურო მაღალი დეპრესიის ხარისხი, ვიდრე ტიპიური განვითარების მქონე ბავშვების დედებს. T ტესტი ორი დამოუკიდებელი შერჩევითვის ანალიზმა გვიჩვენა, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედების დეპრესიის მაჩვენებელი არ განსხვავდება ტიპიური განვითარების ბავშვების დედების დეპრესიის ხარისხის მაჩვენებლისგან. რითიც ჩვენი ჰიპოთეზა არ დადასტურდა.

მეოთხე ჰიპოთეზის თანახმად აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედებს აქვთ უფრო მაღალი შფოთვის მაჩვენებელი, ვიდრე ტიპიური განვითარების მქონე ბავშვების დედებს. ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედების შფოთვის ხარისხი უფრო მაღალია ვიდრე ტიპიური ბავშვების დედების შფოთვის ხარისხი. ასევე შფოთვის სუბსკალების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედების სოციალური შფოთვის ხარისხი უფრო მაღალია ვიდრე ტიპიური განვითარების ბავშვების დედების სოციალური შფოთვის ხარისხი. თუმცა, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედების პიროვნული შფოთვის ხარისხსა და ტიპიური განვითარების ბავშვების დედების პიროვნული შფოთვის ხარისხს შორის სხვაობა არ არის.

მეხუთე ჰიპოთეზის თანახმად აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედებს აქვთ უფრო დაბალი ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი, ვიდრე ტიპიური განვითარების მქონე ბავშვების დედებს. ანალიზის შედეგად ასევე დადასტურდა, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედების ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე ტიპიური განვითარების ბავშვების დედების ცხოვრებით მყოფილების ხარისხი.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** აუტისტური სპექტრი, ბავშვები, დედები, აუტიზმი, დეპრესია, შფოთვა, ცხოვრებით კმაყოფილება

# **Mothers of Children with Autism Spectrum Disorder (ASD): Depression, Anxiety and Satisfaction with life.**

## **Abstract**

Autism spectrum disorder (ASD) has an estimated prevalence of around 1.7% of the population. Parents of children with autism spectrum disorders (ASDs) have been shown to experience increases in depression and anxiety and lower level of satisfaction with life than typically developing children's parents. Mother's mental health is important for children's growth and psycho-social development.

Our research aimed to establishing a connection between the mothers of children with Autism Spectrum Disorder (ASD) to depression, anxiety and satisfaction with life status, as well as comparing depression, anxiety and satisfaction with life between mothers of typical development children.

In the research participated 60 respondents. 30 were mothers of children with autism spectrum disorder (ASD) and 30 of typically developing children's parents as well. Research was done in Ilia University Autism Center. Respondents were from Tbilisi and Batumi and demographic data age, education level, marital status, job and number of children were collected.

For research four questionnaires were used. Beck's Depression Inventory (BDI), which was established by Aron Beck in 1961, was adapted to Georgian population by Nino Javakhishvili and others in 2016; Spielberg's Test Anxiety Inventory's (TAI) 2 subscales (personal and Social), which was established by Spielberg in 1983 and was adapted to Georgian population by Nino Javakhishvili and others again in 2016; Satisfaction with life Scale which was established by Dinner and others in 1985 and was adapted to Georgian population by Nino Javakhishvili and otehrs in 2016;

For data analysis Statistic program SPSS 21 was used.

According to our first and second hypothesis there is negative correlation between satisfaction with life and depression, also anxiety with depression, anxiety and satisfaction of life.

It was confirmed by the data analysis that depression and satisfaction with life have negative correlation. Very strong negative correlation is between general anxiety and satisfaction with life and between subscales of anxiety (personal and social) and satisfaction with life.

According to third hypothesis mothers of children with Autism Spectrum Disorder (ASD) have higher level of depression than the typically developing children's parents. T test analysis for two independent samples showed that depression level is not different for mothers of children with Autism Spectrum Disorder (ASD) than to typically developing children's parents. So our hypothesis was not confirmed.

According to fourth hypothesis mothers of children with Autism Spectrum Disorder (ASD) have higher level of anxiety than typically developing children's parents have. Data analysis confirmed that anxiety level of mothers of children with ASD is higher than among typically developing children's parents. Beside, by the analysis of anxiety subscales we can say that social anxiety level of mothers of children with ASD is higher than with typically developing children's parents. But there is no difference between personal anxiety levels of mothers with ASD children and typically developing children's parents.

According to fifth hypothesis mothers of children with Autism Spectrum Disorder (ASD) have lower level of satisfaction with life than typically developing children's parents. By the data analysis this hypothesis was confirmed.

**Key Words:** Autism Spectrum, Children, Mothers, Autism, Depression, anxiety, satisfaction with life.

## მადლობა

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა ნაშრომზე მუშაობა. დიდ მადლობას ვუხდით ჩემს პროფესორს სამეცნიერო ხელმძღვანელს, მარინა გეგელაშვილს, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე ჩართული იყო მუშაობის პროცესში და მეხმარებოდა.

ჩემს მეგობრებს, ოჯახის წევრებს და აუტიზმის ცენტრის თანამსრომლებს, რომლებიც მეხმარებოდნენ მონაცემების შეგროვებაში, სხვადასხვა სტატიების თარგმნაში, მონაცემების დამუშავებასა და ნაშრომის გასწორებაში: სოფო ძირვაძე, ხათუნა იაკობაძე, მერი ჭელიძე, ნინო იაშვილი, ზანდა ჩეჩელაშვილი.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეგობარს გვანცა დადალაურს, რომელიც ნაშრომზე მუშაობის ყველა ეტაპზე ჩემს გვერდით იყო და მეხმარებოდა, მისი დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნაშრომის დასრულება და შესაბამისი ფორმით წარდგენა. სამაგისტრო საფეხურზე სწავლის განმავლობაში ჩემი ყველაზე დიდი მხარდამჭერი და გულშემატკივარი.

მადლობა ჩემი ოჯახის წევრებს, დედას და მამას, ჩემს ყველა გადაწყვეტილებაში გვერდით დგომისთვის და გამხნეებისთვის. მათი მხარდაჭერა ყველაზე დიდი მამოტივირებელი იყო ჩემთვის მთელი ცხოვრების მანძილზე და განსაკუთრებით უნივერსიტეტში სწავლის დროს.

ნაშრომი ეძღვნება ჩემს მშობლებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჩემი პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის.